საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1877
20/05/2022

1877-21-2-202205201226

შპს „ბარაქას“
მის: სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბოდბე
ელ-ფოსტა: Baraka.kakheti@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №9779 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბოდბეში სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები (shp-ფაილთან ერთად);
- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთი (ს/კ: 56.10.70.089) წარმოადგენს მერაბ ხარაბაძის საკუთრებას, შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იქნეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრესთან შეთანხმების თაობაზე ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს დასარგავი ნერგების რაოდენობის გათვალისწინებით, თითო ნერგის მოსარწყავად საჭირო წყლის რაოდენობა, ასევე თვეების მიხედვით ნერგების მორწყვის ჯერადობა და მდ. იორიდან აღებული წყლის რაოდენობა, ასევე, თვეების მიხედვით სამარაგო რეზერვუარის შევსების ჯერადობა;
- დოკუმენტში მოცემული არ არის წყალაღებისათვის გათვალისწინებული ტუმბოს წარმადობა;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს რა ფართობზეა დაგეგმილი სამელიორაციო სისტემის მოწყობა;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია, მდ. იორზე არსებული წყალმოსარგებლ(ებ)ის თაობაზე;
- დოკუმენტში საჭიროა განხილული იყოს მდინარე იორზე წყალაღების კვეთში არსებული ჰიდროლოგიური რეჟიმი, მათ შორის მოყვანილი უნდა იყოს ინფორმაცია მინიმალური ხარჯების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო